დასკვნა:**დ12. 3724326001**
თარიღი:**21/11/2024**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთი მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ მიმდინარე წლის 20 ნოემბერს განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი.

კომისია აღნიშნავს:

1.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი ძირითადად აკმაყოფილებს საბიუჯეტო კოდექსისა და ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის მოთხოვნებს.

2. პრიორიტეტი ,,განათლება“-ს საბიუჯეტო ასიგნებების მოცულობა დაგეგმილი წლისათვის განსაზღვრულია 9430, ათ. ლარის ოდენობით. აღნიშნული პრიორიტეტის საფინანსების მოცულობა 884 ათასი ლარით მეტია ვიდრე ეს იყო დაგეგმილი 2024 წლის 01 იანვრის მდგომარეობით.

3. პრიორიტეტი ,,კულტურა ახალგაზრდობა და სპორტი“-ს საბიუჯეტო ასიგნებების მოცულობა 2025 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტის პროექტის შესაბამისად შეადგენს 7764 ათას ლარს, რაც 974 ათასი ლარით აღემატება 2024 წლის 01 იანვრისთვის დაგეგმილ ანალოგიური მაჩვენებელს.

4. პრიორიტეტი ,,მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ დაფინანსების მოცულობა, დასაგეგმი 2025 წლისთვის განსაზღვრულია 2952,0 ათასი ლარის ოდენობით და იგი საანგარიშო 2024 წლის 01 იანვრისთვის დაგეგმილ ანალოგიურ მაჩვენებელს (2834,6 ათასი ლარი) 117,4 ათასი ლარის ოდენობით აღემატება.

5. 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი პროგრესირებადია, ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები შეესაბამება მუნიციპალიტეტის მდგრადი და შეუქცევადი განვითარების უზრუნველყოფას, რაც საბოლოო ჯამში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტთან მიმართებაში კომისიის მიერ დაფიქსირდა გარკვეული შენიშვნები, კერძოდ კი:

1.ზოგიერთი ქვეპროგრამის ფარგლებში გაზრდილი დაფინანსებების პირობებში საჭიროა აღწერილობით ნაწილის დაზუსტება, დაინტერესებული პირებისთვის

უფრო კონკრეტიზაციის კუთხით. უმეტესწილად პროგრამები სრულად ასახავს დაფინანსების შინაარს. თუმცა რამდენიმე ღონისძიებების აღწერილობაში საჭიროა კორექტირების შეტანა.

2.დაზუსტებას საჭიროებს ინდიკატორები, როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივი და ეფექტიანობის განმსაზღვრელი პარამეტრების ჭრილში.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მერისათვის დაბრუნების შესახებ.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი